ბრძანება:**ბ60.01201251**

თარიღი:**04/05/2020**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 4 ოქტომბრის №4699879 ბრძანებაში ცვლილების შეტანისა და გაშვებული ვადის აღდგენის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 27 აპრილს და 2020 წლის 3 მაისს №AR1702199 განცხადებაზე შეტყობინების ველის მეშვეობით მომართა რუსუდან სვანიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 4 ოქტომბრის №4699879 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და გაშვებული ვადის აღდგენა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 4 ოქტომბრის №4699879 ბრძანებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ. №1-ში (ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების არქიტექტურული პროექტი და გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 4 ოქტომბრიდან 2021 წლის 4 აპრილის ჩათვლით. ამასთან, დამკვეთს დაევალა ბრძანების გაცემიდან ექვსი თვის (126 სამუშაო დღის) ვადაში იპოთეკარ(ებ)ის თანხმობის წარმოდგენა, რომელიც უნდა გაიცეს იპოთეკარის წესდების შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

სამსახურის 2019 წლის 4 ოქტომბრის №4699879 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი.

განმცხადებელი ითხოვს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 აპრილის №20.446.585 განკარგულების საფუძველზე 2019 წლის 4 ოქტომბრის №4699879 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დოკუმენტაციის წარმოსადგენად განსაზღვრული, გაშვებული ვადის აღდგენას 6 (ექვსი) თვით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის თანახმად, გაშვებული ვადა უნდა აღდგეს, თუ დაინტერესებულმა მხარემ კანონით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადა გაუშვა არაბრალეულად - დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 აპრილის №20.446.585 განკარგულების შესაბამისად, 2020 წელს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში განმცხადებლებისთვის სანებართვო პირობებით განსაზღვრული დოკუმენტაციის ან ინფორმაციის წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის ან მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნის წარდგენისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევა საპატიოდ მიიჩნევა, თუ დაინტერესებული პირი გაშვებული ვადის აღდგენის თაობაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართავს არაუგვიანეს საგანგებო მდგომარეობის გაუქმებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 4 ოქტომბრის №4699879 ბრძანებაში ცვლილების შეტანის და გაშვებული ვადის აღდგენის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 აპრილის №20.446.585 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაკმაყოფილდეს რუსუდან სვანიძის მოთხოვნა.

2. გაშვებული ვადის აღდგენის მიზნით, შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 4 ოქტომბრის №4699879 ბრძანებაში და ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. დაევალოს დამკვეთს, 2020 წლის 4 მაისიდან ექვსი თვის (ას ოცდარვა სამუშაო დღის) ვადაში წარმოადგინოს იპოთეკარ(ებ)ის თანხმობა, რომელიც უნდა გაიცეს იპოთეკარის წესდების შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.“.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 4 ოქტომბრის №4699879 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 4 ოქტომბრის №4699879 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ ბოლოთაშვილი

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი